



195/3-13/22 2 14012022

195/3-13/22

14-01-2022

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს,
ქალბატონ ნინო ქადაგიძეს

ქალბატონო ნინო,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის საფუძველზე, 2021 წლის 7 დეკემბერს მოგმართეთ №11911/3-13/21 წერილით, რათა მოგეწოდებინათ სრულყოფილი ინფორმაცია რაიონული (საქალაქო), სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს მოქმედი მოსამართლეების სპეციალიზაციის შესახებ სახელებისა და გვარების მითითებით და რომელ კოლეგიაში/პალატაში არის განმწესებული თითოეული მათგანი.

2021 წლის 9 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან მოწოდებული იქნა არასრული ინფორმაცია, კერძოდ, წარმოდგენილ იქნა მოსამართლეთა ჩამონათვალი, სასამართლოების მითითებით, ხოლო ზოგიერთი მოსამართლის შემთხვევაში მითითებულ იქნა მხოლოდ სპეციალიზაცია, ხოლო ზოგიერთი მოსამართლის შემთხვევაში - მხოლოდ კოლეგია/პალატა.

მოგეხსენებათ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პარლამენტის წევრის კითხვაზე დროული და სრული პასუხის გაცემა სავალდებულოა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2021 წლის 10 დეკემბერს №12032/3-13/21 განმეორებით მოგმართეთ პარლამენტის წევრის კითხვით, მოთხოვნილი ინფორმაციის სრულყოფილად წარმოდგენის მიზნით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 15 დეკემბრის №933/3519-03-მ წერილით კვლავ არ იქნა წარმოდგენილი მოთხოვნილი ინფორმაცია.

ამდენად, კიდევ ერთხელ, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით და გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია მოსამართლეთა სპეციალიზაციის შესახებ. თვალსაჩინოებისთვის, მაგალითად, ბატონ ივერი აბაშიძეს, რომელიც საბჭოს მიერ წარმოდგენილი წერილის მიხედვით, არის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე, რომელი სპეციალიზაციის (სამოქალაქო, სისხლი, ადმინისტრაციული) გამოცდა აქვს ჩაბარებული.

აქვე შეგახსენებთ, რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების თანახმად, პარლამენტის წევრის კითხვაზე პასუხს ხელს აწერს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ბუჩუკური





საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი

ქ. თბილისი № 43/72-01-თ

„ 28 01 2022წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ანა ბუჩუკურს

ქალბატონო ანა,

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში 2022 წლის 14 იანვარს შემოსული თქვენი №195/3-13/22 წერილის საფუძველზე გიგზავნით ინფორმაციას საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიერ ჩაბარებული მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის სპეციალიზაციის თაობაზე. როგორც თქვენთვის ცნობილია, მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდებიან უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევი, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და უზენაესი სასამართლოს როგორც მოქმედი, ისე ყოფილი წევრები. შესაბამისად, წარმოდგენილ ცხრილში ზოგიერთ მოსამართლესთან მიმართებით არ არის მითითებული ინფორმაცია საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შესახებ.

ამასთან აღვნიშნავთ, რომ თქვენს №11911/3-13/21 და №12032/3-13/21 წერილებში არ იყო მითითებული, რომ თქვენი ინტერესის საგანს წარმოადგენდა მოსამართლეთა სპეციალიზაცია მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის მიხედვით.

დანართი: 7 ფურცელი.

პატივისცემით,

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს. N 1-2468/22
„02“ 03 2022წ. ფურს. 8